



2024

შპს „ოლიმპ ჯორჯია“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3-4
---------------------------------------	-----

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	6
კაპიტალის მოძრაობის ცვლილების ანგარიშგება.....	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	8

1. შესავალი.....	9
2. მომზადების საფუძველი	9
3. სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი პრინციპები	10
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	15
5. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება	16
6. შემოსავალი.....	17
7. რეალიზაციის თვითღირებულება.....	17
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17
9. ინვესტიცია შვილობილ საწარმოში	18
10. მარაგები	18
11. გაცემული სესხები	19
12. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	19
13. საწესდებო კაპიტალი	19
14. მიღებული ავანსები.....	20
15. სავაჭრო ვალდებულებები.....	20
16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	20
17. საანგარიშო პერიოდის შემდეგი მოვლენები	21

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ოლიმპ ჯორჯიას“ მფლობელსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „ოლიმპ ჯორჯიას“ (შემდგომში „კომპანია“) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებულ ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ამავე თარიღით დასრულებული წლის ინდივიდუალური მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალურ ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ინდივიდუალურ ანგარიშგებას, ასევე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების დართულ შენიშვნებს, მათ შორის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამებას.

ჩვენი აზრით, თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს - ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული კომპანიის სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.


მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

პაატა შარაბიძე, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-307233)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

5 სექტემბერი, 2025

თბილისი, საქართველო



მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართული ლარი)


	შენიშვნა	2024	2023 გადაანგარიშებული*
შემოსავალი	6	16,665,888	2,593
რეალიზაციის თვითღირებულება	7	(14,792,928)	-
საერთო მოგება		1,872,960	2,593
საერთო და აღმინისტრაციული ხარჯები	8	(904,740)	(1,349,193)
სხვა შემოსავალი		241,422	20,154
სხვა ხარჯები		-	(32,835)
საოპერაციო მოგება		1,209,642	(1,359,281)
ფინანსური შემოსავალი		162,200	-
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან		155,705	(629,506)
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		1,527,547	(1,988,787)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა მოგება / (ზარალი)		1,527,547	(1,988,787)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		1,527,547	(1,988,787)

*ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგს.

ფინანსური ანგარიშგება შპს „ოლიმპ ჯორჯია“-ს ხელმძღვანელობამ დაამტკიცა 2025 წლის 5 სექტემბერს.

ფინანსურ ანგარიშგებას ხელს აწერს:

აღელინა მამედოვა



დირექტორი

შპს „ოლიმპ ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023 გადაანგარიშებული*	31 დეკემბერი 2022 გადაანგარიშებული*
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	285,779	331,708	296,310
მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონება	-	-	7,134,220
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში	9 12,428,988	11,191,435	-
არამატერიალური აქტივები	19,016	19,016	19,016
გაცემული სესხები	10 2,507,314	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	15,241,097	11,542,159	7,449,546
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	11 1,463,409	13,138,492	1,795,649
წილის ნასყიდობის ავანსი	-	-	554,060
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	44,019	1,961,100	102,917
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	56,386	-	89,437
საგადასახადო აქტივები	-	1,932,847	789,262
ფული და ფულის ეკვივალენტები	12 8,543,502	4,005,432	15,872,765
სულ მიმდინარე აქტივები	10,107,316	21,037,871	19,204,090
სულ აქტივები	25,348,413	32,580,030	26,653,636
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13 10,699,533	10,699,533	10,699,533
გაუნაწილებელი მოგება	12,929,636	11,402,089	13,390,876
სულ კაპიტალი	23,629,169	22,101,622	24,090,409
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	28,623	-	-
სხვა ვალდებულებები	9 -	760,200	-
მიღებული ავანსები	14 1,127,085	8,589,627	2,308,289
სავაჭრო ვალდებულებები	15 563,536	1,128,581	254,938
სულ მიმდინარე ვალდებულებები	1,719,244	10,478,408	2,563,227
სულ ვალდებულებები	1,719,244	10,478,408	2,563,227
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	25,348,413	32,580,030	26,653,636

*ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგს.

ფინანსური ანგარიშგება შპს „ოლიმპ ჯორჯია“-ს ხელმძღვანელობამ დაამტკიცა 2025 წლის 5 სექტემბერს.

ფინანსურ ანგარიშგებას ხელს აწერს:

ადელინა მამედოვა



დირექტორი

შპს „ოლიმპ ჯორჯია“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

	მენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2022 გადაანგარიშებული*	13	10,699,533	13,390,876	24,090,409
წმინდა მოგება		-	(1,988,787)	(1,988,787)
31 დეკემბერი 2023 გადაანგარიშებული*		10,699,533	11,402,089	22,101,622
წმინდა მოგება		-	1,527,547	1,527,547
31 დეკემბერი 2024		10,699,533	12,929,636	23,629,169

*ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 მენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგს.

ფინანსური ანგარიშგება შპს „ოლიმპ ჯორჯიას“ ხელმძღვანელობამ დაამტკიცა 2025 წლის 5 სექტემბერს.

ფინანსურ ანგარიშგებას ხელს აწერს:

ადელინა მამედოვა



დირექტორი

ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)


	მენიშვნა	2024	2023 გადაანგარიშებული ი*
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		1,527,547	(1,988,787)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	8	21,406	135,838
წმინდა ფინანსური შემოსავალი	10	(162,200)	-
შემოსავალი სავალუტო ოპერაციებიდან		(155,705)	629,506
ფულადი სახსრები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		1,231,048	(1,223,443)
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში:			
მარაგების შემცირება/(ზრდა)		11,675,083	(11,342,843)
მარაგებად კლასიფიცირებული ბიწების შემცირება		-	7,134,220
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა) / შემცირება		(56,386)	89,437
გადახდილი ავანსების შემცირება/(ზრდა)		1,917,081	(1,858,183)
საგადასახადო აქტივების/ვალდებულებების შემცირება		1,961,470	(1,143,585)
მიღებული ავანსების ზრდა / (შემცირება)		(7,462,542)	6,281,338
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა / (შემცირება)		(565,045)	873,643
სხვა ვალდებულებების შემცირება	9	(760,200)	-
ფულადი ნაკადების წმინდა შემოდინება/(გაღონება) საოპერაციო საქმიანობიდან		7,940,509	(1,189,416)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია		24,523	(171,236)
გაცემული სესხების ზრდა		(2,276,122)	-
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში	9	(1,280,093)	(9,877,175)
ფულადი ნაკადების წმინდა გაღონება საინვესტიციო საქმიანობიდან		(3,531,692)	(10,048,411)
წმინდა ფულადი სახსრების წმინდა ზრდა წლის განმავლობაში		4,408,817	(11,237,827)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	12	4,005,432	15,872,765
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე		129,253	(629,506)
ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის	12	8,543,502	4,005,432

*ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 მენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგს.

ფინანსური ანგარიშგება შპს „ოლიმპ ჯორჯიას“ ხელმძღვანელობამ დაამტკიცა 2025 წლის 5 სექტემბერს.

ფინანსურ ანგარიშგებას ხელს აწერს:

ადელინა მამედოვა



დირექტორი

1. შესავალი

შპს „ოლიმპ ჯორჯია“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405231011), რომელიც 2017 წლის 3 ოქტომბრის დაფუძნდა და რომლის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, სოფელი თხიზვალა, იოსებ კეჭაყაძის III გასასვლელი, N 32.

კომპანიის დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის აზერბაიჯანში რეგისტრირებული შპს „ოლიმპ საინჟინრო მომსახურებები“, რომლის წილის 95%-ის მფლობელია შუქიურ ალიევ, ხოლო 5%-ის მფლობელია თალიბოვ ისგანდარ საბირ ოღლი.

შპს "ოლიმპ ჯორჯიამ" შეიძინა 2002 წლის 23 აპრილს დარეგისტრირებული შპს „ბიოტა დეველოპმენტის“ (საიდენტიფიკაციო ნომრით 204983198) 100% წილი 2023 წლის 22 მაისს.

ძირითადი საქმიანობა

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უძრავი ქონების მშენებლობა და დეველოპმენტი, პროექტირება, სარემონტო/სამონტაჟო სამუშაოების წარმოება და უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა.

საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, კომპანია დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნის ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზრები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რომლებიც სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, სირთულეებს უქმნის საქართველოს ტერიტორიაზე მომუშავე კომპანიებს. მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ასახავს კომპანიის ოპერაციებსა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე საქართველოს ბიზნეს გარემოს შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისაგან.

2. მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობის განაცხადი

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს“) შესაბამისად, რომელიც ძალაშია 2024 საანგარიშო წლისთვის.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი პრინციპები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

(ბ) შეფასების საფუძველი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

(გ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. კომპანიის მიმდინარე აქტივები არსებითად მეტია კომპანიის მიმდინარე ვალდებულებებზე. ამასთან, ხელმძღვანელობის ინფორმაციით, არ არსებობს რაიმე არსებითი განუსაზღვრელობა, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ უახლოეს მომავალში.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

(ქართული ლარი)

3. საადრიცხო პოლიტიკის არსებითი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი საადრიცხო პოლიტიკის არსებითი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ფუნქციონირებს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი („ლარი“) რაც ასევე არის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტა.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ისტორიული ღირებულებით არიან წარმოდგენილი, გადაყვანილია ლარში, კონვერტირების დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არიან წარმოდგენილი, გადაყვანილია ლარში, სამართლიანი ღირებულების დადგენის დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები საანარიშგებო პერიოდის ბოლოს, გადაყვანილია ლარში, ამ დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტის კონვერტირება აღირიცხება ტრანზაქციის დღეს არსებული უპირატესი გაცვლითი კურსით. ამგვარი ტრანზაქციების ანგარიშსწორების და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებების კონვერტირების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი წარმოდგენილია წინამდებარე მოგება-ზარალის ანგარიშში- „საკურსო სხვაობის წმინდა შედეგი“.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელიც გამოყენებულია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
1 USD/GEL	2.8068	2.6894
წლის საშუალო გაცვლითი კურსი	2024	2023
1 USD/GEL	2.7208	2.6279

ამონაგები

ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება. კომპანია აღიარებს შემოსავალს შესრულებული სახელმწიფოებრივ ვალდებულებების პროპორციულად. კომპანია შემოსავალს აღიარებს მსს ფასს 23-ის მოთხოვნის შესაბამისად. კომპანია შემოსავლების აღიარებისთვის პროექტებთან მიმართ გამოიყენებს შემდეგ მიდგომას: კომპანია შემოსავალს აღიარებს, როდესაც მოცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი გადადის მყიდველზე. თუ საწარმო ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, ოპერაცია არ მიიჩნევა გაყიდვად და, შესაბამისად, არ ხდება ამონაგების, და შესაბამისად, ხარჯის აღიარება.

შემოსავლის აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება: შემოსავალი განისაზღვრება მისივე სამართლიანი ღირებულებით ან სავაჭრო მოთხოვნებით, რომელშიც გათვალისწინებულია კომპანიის ფასდაკლებები და ფასდათმობები. შემოსავალი მცირდება შეფასებული ფასდაკლებებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

შემოსავალი აღიარდება როდესაც ან როგორც კი შესრულდება კონტრაქტით განპირობებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლის კონტროლის ქვეშ გადაცემა. კონტროლის გადაცემა ხდება დროის კონკრეტულ მომენტში.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

3. საადრიცხო პოლიტიკის არსებითი პრინციპები (გაგრძელება)

გარიგების ფასის განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლებს იღებს ფიქსირებული ფასით განსაზღვრული ხელშეკრულებებიდან, რომელიც დამოკიდებულია შესრულებულ ვალდებულებებზე კონკრეტულ თარიღში აქედან გამომდინარე შემოსავალი მიღებული თითოეული შემოსავლიდან განისაზღვრება ფიქსირებული ფასებით.

გარიგების ფასის წინასწარ გადახდილ ნაწილს და წინასწარ გადახდებს მშენებლობის განმავლობაში მომხმარებლების მხრიდან არ განიხილება როგორც დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტი, რადგან ფასს 15-ის 62 (გ) პუნქტის კრიტერიუმში კმაყოფილდება:

დაპირებულ ანაზღაურებასა და საქონლის ან მომსახურების მიმდინარე გასაყიდ ფასს შორის სხვაობა წარმოიქმნება მომხმარებლის ან საწარმოს დაფინანსების გარდა სხვა მიზეზების გამო და ზემოაღნიშნულ თანხებს შორის სხვაობა პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებამია განსხვავების მიზეზთან. მაგალითად, გადახდის პირობები შეიძლება კომპანიას ან მომხმარებელს იცავდეს მეორე მხარის უუნარობისგან, სათანადოდ შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზოგიერთი ან ყველა ვალდებულება.

არაფულადი ანაზღაურება

ისეთი ხელშეკრულების გარიგების ფასის განსაზღვრისთვის, რომლის ფარგლებშიც მომხმარებელი საწარმოს ანაზღაურებას პირდება ფულადი სახსრების გარდა რაიმე სხვა ფორმით, საწარმომ არაფულადი ანაზღაურება (ან არაფულადი ანაზღაურების დაპირება) სამართლიანი ღირებულებით უნდა შეაფასოს. თუ საწარმოს არ შეუძლია არაფულადი ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების გონივრულად შეფასება, მან ანაზღაურება არაპირდაპირ უნდა შეაფასოს, მომხმარებლისთვის (ან მომხმარებელთა კლასისთვის) ანაზღაურების სანაცვლოდ დაპირებული საქონლის ან მომსახურების განცალკევებით გასაყიდი ფასის საფუძველზე.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასს შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს მიწის, მშენებლობის, დაგეგმვისა და დიზაინის დანახარჯებს და სხვა პირდაპირ დანახარჯებს. მარაგის თვითღირებულება რომელიც მისი გასვლისას აღიარდება მოგება ან ზარალში განსაზღვრულია გაყიდული ქონების პროპორციულად და თვითღირებულება განაწილებულია გაყიდული ქონების შესაბამის ზომაზე.

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“ კატეგორიის მიხედვით ეფექტური საპროცენტო გაკანვეთის გამოყენებით.

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვის გარიგებების აღიარება ხდება გარიგების თარიღით აღრიცხვის მეშვეობით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვის გარიგებები ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში. კომპანიის მიერ ფლობილი ფინანსური აქტივები მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს, სავაჭრო მოთხოვნებს და მომწოდებლებზე გადახდილ ავანსებს.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების (ან ფინანსური აქტივების თუ ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად აღისკონტინებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულებების წმინდა საბალანსო მოკლე პერიოდის განმავლობაში. ფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას მომსახურების გაწევის ან საქონლის მიწოდების სანაცვლოდ კლიენტებისგან მიღებული თანხები. თუ თანხების მიღება ერთი წლის განმავლობაში ან უფრო ნაკლებ ვადაში (ან საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, თუ უფრო ხანგრძლივია) არის მოსალოდნელი, ეს აქტივები მიმდინარე (მოკლევადიან) აქტივებად აისახება.

თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი პრინციპები (გაგრძელება)

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები შედგება ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადახდილი ავანსები

საავანსო გადახდები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურება. თუ არის იმის ინდიკატორები, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არიქნება მიღებული, საავანსო გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ სავაჭრო მოთხოვნები უიმედოდ ჩაითვლება, ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულებას, მიღებულ თანხას, დებიტორულ დავალიანებას და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ და კაპიტალში დაგროვილ ჯამურ შემოსავალს ან ზარალს შორის არსებული სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მოგებაში ან ზარალში ასახვის გზით რეალური ღირებულებით შეფასებული სესხები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო სესხების და კრედიტორული დავალიანების შემთხვევაში, პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯების გამოკლებით. ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას და სესხებს.

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მომენტიდან, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით მიმდინარე ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება გამოითვლება შეძენის პროცესში მიღებული ნებისმიერი დანამატის ან ფასდაკლების, ასევე ყველა მოსაკრებლის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში აღირიცხება როგორც ფინანსური ხარჯები. აღნიშნული კატეგორია ძირითადად პროცენტიან სესხებს მიესადაგება.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

3. საადრიცხო პოლიტიკის არსებითი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულება შესრულება ან გაუქმდება ან მოქმედების ვადა დაუსრულდება. როდესაც იგივე გამსესხებელი არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ახლით ჩაანაცვლებს მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ფინანსური ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარებად. შესაბამის საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები აქვს წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, და ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გაღინება და შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელებია, თუ ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გაღინების ალბათობა დაბალი არ არის. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელებია, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. ავტორიზებული კაპიტალის საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ღივილენდები

ღივილენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. ღივილენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული ღივილენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარებულია შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, თუკი წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური მოგების შემცირება, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

ხარჯები დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯები აღარ იწვევს მომავალ ეკონომიკურ მოგებას, ან თუ მომავალი ეკონომიკური მოგება არ აკმაყოფილებს ან აღარ აკმაყოფილებს აქტივის ბალანსში აღიარების მოთხოვნებს.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

3. საადრიცხო პოლიტიკის არსებითი პრინციპები (გაგრძელება)

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

კომპანია დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას:

- ▶ ხელფასები;
- ▶ წლიური ფასიანი შვებულებები და ბიულეტენის ანაზღაურება;
- ▶ არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კოსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს. კომპანია ჩართულია სახელმწიფო საპენსიო „ფონდში“.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულების გადასახადი გადახდილი უნდა იყოს საგადასახადო ორგანოებისთვის საქონლის და მომსახურების კლიენტისათვის მიწოდებისას. ჩასათვლელი დღე ზოგადად ამოღებადია გამომსვლელი დღე-ს მიმართ დღე-ს ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოები დღე-ს გადახდის ნებას რთავენ წმინდა საფუძველზე. ყიდვა-გაყიდვებთან დაკავშირებული დღე აღიარებულია და ასახულია ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში წმინდა საფუძველზე.

მოგების გადასახადი

მოგებიდან გადასახადები წარმოდგენილია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ძალაშია ან არსებითად ძალაშია საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის თანახმადაც კომპანიები (გარდა ბანკებისა, საკრედიტო გაერთიანებებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ იხდიან მოგებიდან გადასახადს მათ მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, სანამ მოგება არ განაწილება ან მიიჩნევა დივიდენდის სახით განაწილებულად.

15 % მოგებიდან გადასახადი გადახდას ექვემდებარება ერთობლივი ღირებულებით (ანუ წმინდა დივიდენდები გადანაწილებად 5% გადასახადის დაქვითვით, თუ შეესაბამება, და გაყოფილი 0.85-ზე) ფიზიკური პირებისთვის და არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდის გადახდის

მომენტში. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგებიდან გადახდილი დივიდენდი გათავისუფლებულია გადასახადისგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილ შემოსავალზე დივიდენდი ექვემდებარება მოგებიდან გადასახადს ერთობლივ ღირებულებაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო შეღავათით, რომელიც გაანგარიშებულია, როგორც კორპორატიული მოგებიდან გადასახადის წილი, გაცხადებული და გადახდილი დაბეგვრად მოგებაზე მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ იმავე პერიოდისთვის, გამრულებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო შეღავათის ოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ფაქტობრივ მოგებიდან გადასახადს, რაც დაწესებულია დივიდენდის განაწილებაზე.

დივიდენდების განაწილებიდან მიღებული მოგებიდან გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგებიდან გადასახადის ხარჯი დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომელზედაც დივიდენდი იხდება. მოგებიდან გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი უნდა გადახდილი იქნას ხარჯებზე და სხვა გადასახადებზე, რომლებიც წარმოშობილია არა-ეკონომიკურ საქმიანობებთან დაკავშირებით, აქტივებისან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებაზე და წარმომადგენლობით ხარჯებზე, რომლებიც არ აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და სხვა ზოგიერთი ტრანზაქციები ასეთ სუბიექტებთან, აგრეთვე ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებელ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გამოკლებული საგადასახადო შეღავათები, რაც გაცხადებულია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებაზე ან ფიზიკურ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ამოღებაზე, აღირიცხება სხვა გადასახადებში, საოპერაციო ხარჯების ფარგლებში. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი საბაზინო კოდიტ.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

3. საადრიცხო პოლიტიკის არსებითი პრინციპები (გაგრძელება)

მოგების გადასახადი (გაგრძელება)

შედეგად კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები

კომპანიამ ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებულად ასახა აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. კომპანიამ აქტივი განიხილა როგორც მოკლევადიანი თუ იგი:

- ▶ აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით;
- ▶ აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებას ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

სხვა დანარჩენი აქტივები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად მიიჩნევა თუ:

- ▶ მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- ▶ უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში; ან
- ▶ საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სხვა დანარჩენი ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

(ო) საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი საადრიცხო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ინდივიდუალ ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისთვის.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები

კომპანია შედის გარიგებებში მის დაკავშირებულ მხარეებთან. კომპანია განიხილავს არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას, სადაც არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებთან.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის**

(ქართული ლარი)

5. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

ჯგუფის ხელმძღვანელობამ მოახდინა შეცდომის იდენტიფიცირება 2023 წლის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში, შესაბამისად მოხდა წინა საანგარიშგებო პერიოდის ნაშთების გადახედვა. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მსგავსი სახით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა უფრო სწორ სურათს გვაჩვენებს. კერძოდ, კომპანიამ დააიდენტიფიცირა ხარჯები, რომელიც მისი მიზნობრიობიდან გამომდინარე შეადგენდა მშენებარე ქონების თვითღირებულებას. ასევე, კომპანიამ ცალკე გამოყო მიღებული ავანსები სავაჭრო ვალდებულებებისგან და ანგარიშგებაში წარმოდგინა ცალკე მუხლად. კომპანიამ აღრიცხვა 2023 წელში გამორჩენილი ტრანზაქციები, რომელიც შეადგენდა მარაგების თვითღირებულებას. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია შეცდომის გასწორების ეფექტი ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ცვლილების ეფექტი 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაზე:

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება	წინა ანგარიშის მიხედვით	2023 წლის მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
მარაგები	11,945,726	1,192,766	13,138,492
საგადასახადო აქტივები	1,898,349	34,498	1,932,847
მიღებული ავანსები	-	(8,589,627)	(8,589,627)
გაუნაწილებელი მოგება	(9,260,424)	(2,141,665)	(11,402,089)
სავაჭრო ვალდებულებები	(10,632,609)	9,504,028	(1,128,581)

ცვლილებების ეფექტი 2023 წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგებაზე:

მოგებისა-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ინდივიდუალური ანგარიშგება	წინა ანგარიშის მიხედვით	2023 წლის მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,296,579)	947,386	(1,349,193)

ცვლილებების ეფექტი 2023 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგებაზე:

ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება	წინა ანგარიშის მიხედვით	2023 წლის მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
მარაგების შემცირება/(ზრდა)	(10,150,077)	(1,192,766)	(11,342,843)
საგადასახადო აქტივების/ვალდებულებების შემცირება	(1,109,087)	(34,498)	(1,143,585)
მიღებული ავანსების ზრდა / (შემცირება)	-	6,281,338	6,281,338
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა / (შემცირება)	6,875,103	(6,001,460)	873,643

ცვლილების ეფექტი 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგებაზე:

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება	წინა ანგარიშის მიხედვით	2022 წლის მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
გაუნაწილებელი მოგება	(12,196,597)	1,194,279	(11,002,318)
მიღებული ავანსები	-	2,308,289	2,308,289
სავაჭრო ვალდებულებები	(3,757,506)	(3,502,568)	(7,260,074)

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

6. შემოსავალი

შემოსავლები 2024 და 2023 წლებისთვის მოიცავს შემდეგს:

	2024	2023
შემოსავალი ბიზნესის რეალიზაციიდან	14,513,907	-
შემოსავალი კომერციული ფართის რეალიზაციიდან	1,495,079	-
შემოსავალი ავტოსადგომის რეალიზაციიდან	565,376	-
შემოსავალი სხვა მომსახურებიდან და რეალიზაციიდან	91,526	2,593
სულ შემოსავალი	16,665,888	2,593

7. რეალიზაციის თვითღირებულება

რეალიზაციის თვითღირებულება 2024 და 2023 წლებისთვის მოიცავს შემდეგს:

	2024	2023
რეალიზებული ბიზნესის თვითღირებულება	(12,430,180)	-
რეალიზებული კომერციული ფართის თვითღირებულება	(1,508,334)	-
რეალიზებული ავტოსადგომის თვითღირებულება	(854,414)	-
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	(14,792,928)	-

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2024 და 2023 წლებისთვის მოიცავს შემდეგს:

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	(633,782)	(504,277)
პროფესიული ხარჯები	(71,748)	(67,077)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(31,045)	(8,615)
ტრანსპორტირების ხარჯები	(22,442)	-
ცვეთა და ამორტიზაცია	(21,406)	(135,838)
სამშენებლო მომსახურებები	(15,948)	(128,978)
დაცვის ხარჯები	(13,424)	(30,456)
საპენსიო სააგენტოს ხარჯი	(12,143)	(7,682)
კომუნალური ხარჯები	(11,521)	(5,735)
სარეკლამო ხარჯები	(7,303)	(57,861)
კომუნიკაციის ხარჯები	(5,243)	(5,716)
საბანკო ხარჯი	(707)	(1,646)
შეკეთება	-	(386,999)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(58,028)	(8,313)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(904,740)	(1,349,193)

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის***(ქართული ლარი)***9. ინვესტიცია შვილობილ საწარმოში**

ინვესტიციები შვილობილ კომპანიაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
შპს ბიოტა დეველოპმენტ	12,428,988	11,191,435	-
სულ ინვესტიციები შვილობილ კომპანიაში	12,428,988	11,191,435	-

შპს „ბიოტა დეველოპმენტ“ საიდენტიფიკაციო ნომრით 204983198 დარეგისტრირდა 2002 წლის 23 აპრილს საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართია - საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ანნა პოლიტოვსკაიას ქ., №18 შპს "ოლიმპ ჯორჯიამ" მოახდინა აღნიშნული კომპანიის 100% წილის შეძენა 2023 წლის 22 მაისს გაფორმებული წილის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე. ძირითადი ნასყიდობის ხელშეკრულების ჯამური ფასი 4,300,000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარია. წილის ნასყიდობის ავანსმა 2023 წლის 22 მაისამდე შეადგინა 4,000,000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში. დარჩენილი ნაწილის - 760,200 ლარის გადახდის ვადად განისაზღვრა ხელშეკრულების ხელმოწერიდან 10 კალენდარული თვე. კომპანიამ 2024 წლის 15 მარტს გადაიხადა დარჩენილი ნაწილი სრულად. კომპანიამ 2023 წლის ივნისსა და დეკემბერში მოახდინა შვილობილი საწარმოს კაპიტალის გაზრდა 250,000 ლარის ოდენობით. 2024 წელს ცვლილება არ განხორციელებულა.

10. მარაგები

მარაგები 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
დასრულებული ბინები	1,417,754	1,487,805	1,532,731
სამშენებლო მასალები	45,655	1,567,368	262,918
დაუმთავრებელი მშენებლობა - ბინები	-	10,083,319	-
სულ მარაგები:	1,463,409	13,138,492	1,795,649

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მარაგები არ არის დატვირთული გირავნობით.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

11. გაცემული სესხები

2024 წლის 1 მაისს, კომპანიამ მის შვილობილ კომპანიასთან გააფორმა ხუთწლიანი, უპროცენტო სესხის ხელშეკრულება, რომლის ფარგლებში ჯამური საკრედიტო ხაზი შეადგენს 2,000,000 აშშ დოლარს. მსს ფასს-ის მე-11 განყოფილების შესაბამისად, გაცემული თანხები აღიარებულია მოცემული დღეისთვის არსებული ღირებულებით (present value), 9.35%-იანი საბაზრო განაკვეთის გამოყენებით. 454,686 აშშ დოლარი (1,237,553 ლარი) განსხვავება საბაზრო განაკვეთით და საკონტრაქტო გარიგების განაკვეთს შორის აღიარებულია კომპანიის ინვესტიციის ზრდად შვილობილ კომპანიაში. გაცემული სესხები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
შვილობილზე გაცემული სესხი	მაისი, 2029	7.50%	აშშ დოლარი	2,507,314	-	-
სულ გაცემული სესხები				2,507,314	-	-

გაცემული სესხების მოძრაობა წლის განმავლობაში მოცემული შემდეგი სახით, 2024 წლის განმავლობაში კომპანიას გაცემული სესხები არ ჰქონია.

	2024
1 იანვრის მდგომარეობით	-
სესხის გაცემა	3,513,675
შვილობილი კომპანიის ინვესტიციაში გადატანა (დისკონტირების ეფექტი)	(1,237,553)
საპროცენტო შემოსავალი	162,200
საკურსო სხვაობების წმინდა ეფექტი	68,992
31 დეკემბერი 2024	2,507,314

12. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფული ბანკში, უცხოურ ვალუტაში	7,913,661	3,412,447	13,256,698
ფული ბანკში, ეროვნულ ვალუტაში	629,841	592,985	2,616,067
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8,543,502	4,005,432	15,872,765

13. საწესდებო კაპიტალი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 10,699,533 ლარს. 2024 და 2023 წლების განმავლობაში კომპანიას საწესდებო კაპიტალი არ შეცვლილა. 2024 და 2023 წლების განმავლობაში არ გამოცხადებულა დივიდენდი.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

14. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები შედგება დასრულებული ან მშენებარე ბინების რეალიზაციამდე მომხმარებლებისგან წინასწარ გადახდილი თანხებისგან, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული ავანსების ნაშთმა შეადგინა 1,127,627 ლარი, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 8,589,627 ლარი. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 2,308,289 ლარი.

15. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები შედგება მომწოდებლისთვის გადასახდელი თანხებისგან, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო ვალდებულებების ნაშთმა შეადგინა 563,536 ლარი, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 1,128,581 ლარი. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 254,938 ლარი.

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია მსს ფასს - ით „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“, წარმოადგენს:

პირი ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამჟამად ფინანსურ ანგარიშგებას (ანგარიშვალდებული საწარმო).

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

(i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

(iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მსს ფასს - 2015 წ. მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);

(ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

(iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

(v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული

რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;

(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

(vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის არსს, და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ტრანზაქციების შესახებ.

	ურთიერთობის ტიპი	2024	2023
ფინანსური შემოსავალი, წმინდა	შვილობილი საწარმო	162,200	-

ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთების შესახებ.

	ურთიერთობის ტიპი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გაცემული სესხები	შვილობილი საწარმო	2,507,314	-

ხელმძღვანელობის მმართველმა რგოლმა წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შედის თანამშრომელთა ხელფასებში და სხვა გასამრჯელოებში:

	2024	2023
ხელმძღვანელობის ხელფასები და ბონუსები	(229,181)	(166,107)

17. საანგარიშო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ მოვლენებს:

- 2025 წლის ივლისის მდგომარეობით კომპანიამ გასცა სესხი დაკავშირებულ მხარეზე, 1,170,000 ლარის ოდენობით; სესხის ხელშეკრულება გაფორმდა 2024 წლის 1 მაისს. კრედიტორი მსესხებელს გადასცემს 2,000,000 აშშ დოლარს 5 წლის ვადით.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.